თანამშრომლობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

13 ივნისი 2020 წ.

ერთი მხრივ, **შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში „უსდ"), მისი რექტორის **ვალენტინა საყვარელიძის** სახით და, მეორე მხრივ, **შპს ფსიქოპროექტი** (შემდგომში „მხარე"), მისი დირექტორის **ზურაბ ბიგვავას** სახით, ვდებთ თანამშრომლობის ხელშეკრულებას რომლის მიზანია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერისტეტის მიერ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე არსებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფის ხელშეწყობა ამავე საგანმანათლებლო პროგრამის (სასწავლო/საწარმოო) პრაქტიკის განხორციელების გზით.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიერ რეალიზებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული (სასწავლო/საწარმოო) პრაქტიკის სილაბუსის შესაბამისად, რომელიც ამ ხელშეკრულების დანართი და განუყოფელი ნაწილია, ამავე ფაკულტეტის სტუდენტებისათვის პრაქტიკის შემადგენელი ნაწილის - საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფა სილაბუსით განსაძღვრული საათობრივი დატვირთვით;

საწარმოო პრაქტიკა გათვალისწინებულია *სოციალური ფსიქოლოგიის მოდულისთვის.*

1.2. საწარმოო პრაქტიკის გასავლელად, მხარე უზრუნველყოფს სტუდენტი ჩართოს რეალურ საქმეთა წარმოებაში, რისთვისაც მხარე გამოყოფს უფლებამოსილ პირს (მენტორს), რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას უწევს სტუდენტის პროფესიულ საქმიანობას;

1.3. საწარმოო პრაქტიკის გავლას საერთო კოორდინაცია უწევს უნივერსიტეტის წარმომადგენელი - სილაბუსის ავტორი, შესაბამისი ფაკულტეტის პრაქტიკის ხელმძღვანელი;

1.4. სტუდენტი აწარმოებს საწარმოო პრაქტიკის დღიურს და ადგენს პრაქტიკის ანგარიშს პრაქტიკის ინსტრუქციის თანახმად;

1.5. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მოსამზადებელი შეხვედრა (უნივერსიტეტი);

ბ) სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ (უნივერსიტეტი);

გ) პრაქტიკის ადგილის გაცნობა მენტორის მიერ (მხარე);

დ) სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება (მხარე);

ე) სტუდენტის ზედამხედველობა მენტორის მიერ (მხარე);

ვ) სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, პრაქტიკის შუალედური მიმოხილვა/შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ (უნივერსიტეტი);

ზ) დასკვნითი შეფასება (პრაქტიკის საჯარო დაცვა) (უნივერსიტეტი).

2. ანაზღაურება

უნივერისტეტი მხარეს გადუხდის საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფის მომსახურების მათ შორის შეთანხმებულ საფასურს ყოველ ერთ სტუდენტზე მხარის მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურისა და გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტის შესაბამსიად.

3. მხარეების უფლებები და ვალდებულებები:

3.1 უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) იმოქმედოს ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

ბ) გადუახადოს მხარეს ამ ხელშეკრულების მე-2 პუნქტში გათვალსიწინებული თანხა ამავე პუნქტით განსაზღვრული წესით;
გ) გადასცეს მხარეს იმ პირთა/მასწავლებელთა (პრაქტიკის ხელმძღვანელთა) და სტუდენტთა სია, რომელთაც ენიჭებათ დაშვება და მხარის მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობებით სარგებლობის უფლება;
დ) დროულად აცნობოს მხარეს შეთანხმებული გრაფიკის (ცხრილების) ცვლილების თაობაზე;
ე) აანაზღაუროს მხარის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისთვის უნივერისტეტის წარმომამდგენელთა დადასტურებული ბრალით მოყენებული მატერიალური ზარალი სრულად.

3.2 მხარე ვალდებულია:
ა) კეთილსინდისიერად, ხარისხიანად სრულყოფილად და დროულად, უნივერისტეტის ინტერესებიდან გამომდინარე შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
ბ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო მიზნებით ამ ხელშეკრულებით გათვალსიწინებული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე სტუდენტის დაშვება და არ დაუშვას უნივერსიტეტთან შეთანხმებული გრაფიკის (ცხრილის) მიხედვით, უნივერსიტეტთან შეთანხმებული სიით უნივერსიტეტის წარმოამდგენელთა ამ ბაზასთან დაშვების შეზღუდვა;
გ) შეუქმნას უნივერისტეტის წარმოამადგენლებს/მასწავლებელთა (პრაქტიკის ხელმძღვანელთა) და სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის სათანადო და უსაფრთხო პირობები, უზრუნველყოს ისინი საჭირო ინვენტარით;

4. ხელშეკრულების ვადა
4.1. თანამშრომლობის ხელშეკრულება იდება უვადოდ, მხარეთა მიერ მის შეწყვეტამდე;
4.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან;
4.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობებითა და წესით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა
ამ ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობათა შეუასრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის, მხარეს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად;

6.დავები
მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7. დასკვნითი დებულებები
წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად. ერთი ინახება უნივერისიტეტში, მეორე - მხარესთან. ორივე ეგზემპლიარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია:		უსდ:
შპს „ფსიქოპროექტი“ მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. 48 ტელ.: 599 57 54 19 ელ.ფოსტა: zura.bigvava@gmail.com ხელმოწერა: ---------- ზ. ბიგვავა		შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (ს.კ N206046045) მის: თბილისი, 0144, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.N31 ტელ: (+99532) 2545908, 2545909 ელ ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge ვებ გვერდი: www.thu.udu.ge ხელმოწერა: ---------- ვ. საყვარელიძე

დანართი N1